



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია



N 1698/09
11/06/2020

1698-09-2-202006111200



საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს
ასლი: ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს აღმასრულებელ
დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს


თქვენი წერილობითი მომართვის (N4707/01 21.02.2020წ) გაცნობებით, რომ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით, 2015 წელს, შპს - დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის მიერ შემუშავდა დაბა აბასთუმნის განვითარების სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგიით განისაზღვრა დაბა აბასთუმნის განვითარების ხედვა მრავალმხრივი ასპექტით. მის ფარგლებში შემუშავდა ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და განაშენიანების რეგულირების გეგმა. ფაქტობრივად, ამ დოკუმენტმა განსაზღვრა ძირითადი მიმართულებები და ხედვები, თუ როგორი უნდა ყოფილიყო დაბა აბასთუმანი. რადგანაც სტრატეგიის ფარგლებში ვერ მოხდებოდა დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცება, გადაწყდა, რომ მის საფუძველზე მომხდარიყო კანონმდებლობით დადგენილ ფორმატში ხსენებული დოკუმენტაციის მომზადება. შესაბამისად, ეს სტრატეგია, მის ფარგლებში ჩატარებული კვლევები, ისტორიულ-კულტურული კვლევა, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა იყო საფუძველი ახალი დოკუმენტების მომზადების. ეს ხაზგასმით აისახა ტექნიკურ დავალებშიც - “საპროექტო სამუშაოების პროცესი უნდა მოიცავდეს არსებული საყრდენი მონაცემების განახლებას (საჭიროების შემთხვევაში), ინტეგრირებას, დასახლების განვითარების სტრატეგიულ ხედვასთან მიმართებაში არსებული კვლევებისა და გეგმების რევიზირება-ადაპტირებას, სივრცითი ხედვისა და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (გეოგრაფიკი 2015 წ.) შესაბამის განახლებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად” (იხ. დაბა აბასთუმნის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა. დანართი -1-ტექნიკური დავალება). მიზანი იყო უკვე არსებული დოკუმენტაციის მაქსიმალურად გამოყენება, რათა არ მომხდარიყო თავიდან იმავე სამუშაოების ჩატარება და ფინანსების განმეორებით ხაჯვა. ახალი დოკუმენტის შემუშავების ფარგლებში ფაქტიურად გადამოწმდა ძველი და დაზუსტდა გარკვეული საკითხები.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების შემდგომ დაგვარად ადრეულ ეტაპზე ითვალისწინებს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) შესაბამისი პროცედურების დაწყებას, კერძოდ, კოდექსის მიხედვით, დამგეგმავი ორგანო ვალდებულია სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარუდგინოს სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი მისი შემუშავების შემდგომ დაგვარად ადრეულ ეტაპზე,

რათა სგმ-ს განხორციელებამ შეასრულოს მისი რეალური ფუნქცია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ვინაიდან, ამ შემთხვევაში უკვე 2015 წელს არსებობდა დაბა აბასთუმნის სტრატეგია და განსაზღვრული იყო დაბის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ჩაითვალა რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტი სგმ-ს ჩატარების მოთხოვნას არ საჭიროებდა.

ამასთან, ქალაქთმშენებლობითი გეგმებით გათვალისწინებული გეგმარებითი ცვლილებები არ ახდენს გარემოზე ან/და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვან, უარყოფით ზემოქმედებას. ქალაქთმშენებლობითი გეგმების კონცეფცია ფაქტიურად იმეორებს და გარკვეულად აზუსტებს დაბა აბასთუმნის 2015 წლის სტრატეგიის განვითარების ძირითად პრინციპებს და ხედვებს.

ზაქარია ენდელაძე



მუნიციპალიტეტის მერი

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია

